ოქმი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი **2024 წლის 19 ივლისი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბექა მამაცაშვილი
2. კობა გერგაია
3. ნუგზარ შუშანია
4. აკაკი ხურცილავა
5. სერგო ბერაია
6. ქეთი კვირიკაშვილი

სხდომაზე დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ბ. მამაცაშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 12 მაისის N50-502416424 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გაღმა და გამოღმა ქარიატის ქუჩების სახელდების შესახებ“)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 12 მაისის N50-502416424 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გაღმა და გამოღმა ქარიატის ქუჩების სახელდების შესახებ“)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ მამაცაშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გაღმა და გამოღმა ქარიატის ქუჩების სახელდების შესახებ“ და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიას ერთობლივი განცხადებით მიმართა ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ. სოფელ გაღმა და გამოღმა ქარიატაში არსებული ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სოფელ გაღმა ქარიატაში არსებულ ქუჩებს ეწოდოს შემდეგი სახელები:

N 1 ქუჩას - წმინდა გიორგის ქუჩა

N 2 ქუჩას - წმინდა ნინოს ქუჩა

N 3 ქუჩას - ლაზეთის ქუჩა

N 4 ქუჩას - აიეტის ქუჩა

ასევე, გამოღმა ქარიატის **N1 ქუჩას** დაერქვას 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული ლევან ჭოჭუას სახელი, ხოლო **N2 ქუჩას** - 1990 წელს გარდაცვლილი თანასოფლელის, ემზარ წურწუმიას სახელი. ზემო აღნიშნულის გამო, კომისიის მიერ ორგანიზებულ იქნა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და საკრებულოს აპარატის წარმომადგენელს სთხოვა დამსწრე საზოგადოებისთვის მიეწოდებინა საზოგადოებრივი გამოკითხვის კითხვარი.

აზრი გამოთქვეს: - დარეჯან შელია (საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი) - განაცხადა, რომ ლევანი ჭოჭუა გამოირჩეოდა ნიჭიერებით, სულიერი სილამაზითა და სამშობლოსადმი სიყვარულით. ის იყო წარმატებული მოსწავლე, ერთგული მეგობარი და კარგი შვილი. 2008 წლის რუსული აგრესიის პირველივე დღეს ლევანი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ის გმირულად დაიღუპა საომარ მოქმედებების დროს, რუსული ავიაციის მიერ სენაკის სამხედრეო ბაზის დაბომბვის დროს. გამოღმა ქარიატის მცხოვრებლები ლევან ჭოჭუას სახელის უკვდასსაყოფად ითხოვენ მისი სახელი მიენიჭოს გამოღმა ქარიატის N1 ქუჩას,

აზრი გამოთქვეს: - აბესალომი ხარბედია (საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი) განაცხადა, რომ ემზარი წურწუმის გარდაცვალებიდან 34 წელი გავიდა, მაგრამ მისი სახელი თანასოფლელებისთვის დავიწყებას არ მისცემია, რადგან ის იყო განსაკუთრებული თვისებების მატარებელი, ღირსეული და ყველსაგან გამორჩეული, სამაგალითო პიროვნება. გაჭირვებულის

გვერდში მდგომი და სიკეთის ჩუმად, უხმაუროდ მთესავი ადამიანი. მის კეთილშობილურ საქმეებს იცნობენ ის თაობებიც, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ, ამიტომ ყველა თაობის წარმომადგენელმა ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება გამოღმა ქარიატის N2 ქუჩას დაერქვას ემზარ წურწუმიას სახელი.

წარმოდგენილ წინადადებას დაეთანხმა: **ლ. ქავთარაძე, გ. ქაჯაია,**

დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოკითხვის კითხვარის შევსების შემდეგ, საკრებულოს აპარატის წარმომადგენლების მხრიდან დათვლილ იქნა შედეგები, გამოკითხულთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით თანხმობა მიეცა ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატის N1 ქუჩას მიენიჭოს ლევან ჭოჭუას სახელი, ხოლო და სოფელ გაღმა ქარიატის N2 ქუჩას დაერქვას ემზარ წურწუმიას სახელი.

დაადგინეს: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატის N1 ქუჩას ლევან ჭოჭუას, ხოლო და სოფელ გაღმა ქარიატის N2 ქუჩას ემზარ წურწუმიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია გადაეგზავნოს შესაბამის სამთავრობო კომისიას, საბოლოო გადაწყვეტილებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ბექა მამაცაშვილი